# შირაქი
SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (9.835)
14-21 ივლისი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## წლის ბოლომდე არხილოსკალო-სამთაწყაროს საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდება



გვ.3



გვ.3

## ახალი მთავრობა წარდგენილია

## მამუკა ბახტაძე – ჩვენი ყველა რეფორმა 2018–2019 წლებში დაინერგება

გვ.2

## ცოფის რვა შემთხვევა დედოფლისწყაროში





გვ.5



## სტუმრად „საზაფხულო სახლში“...

გვ.4

## კონდიციონერი – მტერი თუ მეგობარი?!

გვ.4





გვ.7

## მთაში მოკლული სმითები

# მამუკა ბახტაძე - ყველას კარგად გვახსოვს, რა ჯოჯოხეთი ჩავიბარეთ ჩვენ 2012 წელს სასჯელაღსრულების სისტემის სახით და ამ სისტემაში განხორციელებული რეფორმა ქართული ოცნების ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია

ყველას კარგად გვახსოვს, რა ჯოჯოხეთი ჩავიბარეთ ჩვენ 2012 წელს სასჯელაღსრულების სისტემის სახით და მართლაც ვფიქრობ, ამ სისტემაში განხორციელებული რეფორმა არის "ქართული ოცნების" ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფრაქცია "საქართველოს პატრიოტებთან" შეხვედრისას, სასჯელაღსრულების სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროსთან გაერთიანების საკითხზე განაცხადა.

მისი თქმით, კახა კახიშვილმა 2012 წელს დაწყებული რეფორმები ღირსეულად გააგრძელა და დღეს არსებობს სისტემა, რომელიც თვისობრივად, ხარისხობრივად განსხვავებული და ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებულია.

"დღეს რომ იყოს 2014 ან 2015 წელი, დაგეთანხმებოდით არგუმენტაციაში, რომ ამ სამინისტროების გაერთიანება აზრს მოკლებული იქნებოდა, მაგრამ რეფორმების ძირითადი ნაწილი ამ სისტემაში გატარებულია. ძალიან იშვიათად ნახავთ მსოფლიოს წარმატებულ გამოცდილებას, რომ ეს სისტემა იყოს ცალკე სამინისტროს სახით. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიციაა, რომ ამ სისტემაში გატარდა მნიშვნელოვანი, ძირეული, წარმატებული რეფორმები, რაც ჩვენი გუნდის ერთ-ერთ დამსახურებად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ დროა, ვიხელმძღვანელოთ კარგი ევროპული პრაქტიკით", - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# ქეთევან ციხელაშვილი - მავთულხლართები, თხრილები და სხვადასხვა სახის დაბრკოლებები ღია ოკუპაციის რეალურ და სიმბოლურ სახედ იქცა

მავთულხლართები, თხრილები და სხვადასხვა სახის დაბრკოლებები დღეისთვის იქცა ღია ოკუპაციის რეალურ და სიმბოლურ სახედ, - ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა ქეთევან ციხელაშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომელზეც მთავრობის შემადგენლობისთვის და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილება.

ქეთევან ციხელაშვილმა სამთავრობო პროგრამის წარდგენისას ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იმ ტრაგედიებზე ისაუბრა, როდესაც საქართველოს არაერთი მოქალაქე დაიღუპა.

„მავთულხლართები, თხრილები და სხვადასხვა სახის დაბრკოლებები დღეისთვის იქცა ღია ოკუპაციის რეალურ და სიმბოლურ სახედაც. ეს არის ის დაბრკოლებები, რომელიც ჰყოფს ოჯახებს, ნათესავებს, სოფლებს, რომელიც მზარდ იზოლაციაში აქცევს ორივე რეგიონში აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლის გასწვრივაც რეგულარულად აკავებენ ადგილობრივებს და სხვათა შორის, წინა წლის სტატისტიკით, 3-ჯერ უფრო მეტი იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან კონტროლირებადზე გადმოსვლის მცდელობისას ეს, ვიდრე პირიქით. მხოლოდ ამ ერთი მაგალითიდან ჩანს აშკარად და ნათლად, რომ დაყოფისა და დაშორიშორების ეს სტრატეგია ყოველთვის აქტიურდება, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ძალიან მზარდი ადამიანური ურთიერთობების პარალელურად.

ჩვენ ვიქნებით შეურიგებელი ადამიანის სიცოცხლის, უსაფრთხოების და უფლებების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედების მიმართ, რომლის უმძიმესი გამოვლინებებიც გახლდათ ბოლო პერიოდში ბაშარულის, ოთხოზორიასა და ტატუნაშვილის ტრაგედიები. მაგრამ ამავდროულად გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ მცხოვრებლების უფლებები იყოს დაცული", - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

# მამუკა ბახტაძე — ჩვენი ყველა რეფორმა 2018-2019 წლებში დაინერგება

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ყველა რეფორმა 2018-2019 წლებში დაინერგება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ბახტაძემ აღნიშნა, რეფორმების ნაწილი შემოდგომაზე გაჟღერდება.

„ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ყველა რეფორმა 2018-2019 წლებში დაინერგება. რა თქმა უნდა, განათლების რეფორმა არის განსაკუთრებული შემთხვევა, ის არის გრძელვადიანი, მაგრამ ყველა სხვა რეფორმა, რომელიც ჩვენს მიერ არის ინიცირებული და ასევე ახალი რეფორმები, რომელსაც გავაჟღერებთ შემოდგომაზე, თითოეული მათგანი დაინერგება 2018-2019 წლებში. შესაბამისად, ამ რეფორმების კოორდინაციას და მის დანერგვას სჭირდება სისტემური მენეჯმენტი, ეფექტური სამთავრობო რგოლები, ეფექტური კადრებით დაკომპლექტებული და აქედან გამომდინარე მთავრობის ადმინისტრაციას აქვს განსაკუთრებული ფუნქცია. დარწმუნებული ვარ, კახა კახიშვილი ამ ფუნქციას შეასრულებს", - განაცხადა ბახტაძემ.

პრემიერმა დღეს მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაასახელა. ასევე მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად კახა კახიშვილი დანიშნა.

# რეგიონული განვითარების სამინისტრო - დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში არასამთავრობო სექტორი და ექსპერტები ჩაერთვებიან

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) ოფისში, ასოციაციის წარმომადგენლებმა, არასამთავრობო სექტორის წევრებმა, ექსპერტებმა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მენეჯმენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასა და დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროს წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კონცეფციაზე და დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდეს ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. აღინიშნა, რომ ამ კუთხით, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები განხორციელდა.

„დღეს გვქონდა შეხვედრა დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ეს არის პროცესი, რომელიც ექსპერტების და ამ თემაზე მომუშავე სხვადასხვა პირის ჩართულობით უნდა წარიმართოს. არაერთი კითხვა და მოსაზრება მოვისმინეთ და ვფიქრობ, ასეთი საინტერესო შეხვედრები მომავალშიც გვექნება", - განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა მაია ცქიტიშვილმა.

დამსწრეებმა ასევე ისაუბრეს თვითმმართველობების როლის გაძლიერებასა და ადგილობრივ საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ამაღლებისა და ტრენინგის საჭიროებებზე, რაც თავის მხრივ თვითმმართველობის ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და უმნიშვნელოვანესია დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის.

ყურადღება გამახვილდა სამომავლო პერსპექტივებზე და აღინიშნა, რომ დეცენტრალიზაციის საშუალოვადიან სტრატეგიაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. სტრატეგიის შექმნის მიზანია ეფექტური, ძლიერი და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2025 წლისათვის კომპეტენციებისა და რესურსების დიდი ნაწილი ცენტრალურიდან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში გადავა, რაც მისცემს მათ ყველა აუცილებელ ბერკეტს ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

„დეცენტრალიზაციის მიმართულებით და ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის კუთხით, ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები განხორციელდა, რომლებსაც ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიამ უმაღლესი შეფასება მისცა", - ნათქვამია ინფორმაციაში.

# მაია ცქიტიშვილი - კახეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში იგეგმება კვლევის ჩატარება და განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილმა მაია ცქიტიშვილმა გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

რეგიონული განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, რეგიონებში კლასტერული განვითარების კვლევის შესახებ დეპუტატ ლევან კობერიძის შეკითხვას მაია ცქიტიშვილმა კონკრეტული მაგალითებით უპასუხა.

„აზიის განვითარების ბანკთან ერთად და მათი მხარდაჭერით გვაქვს საკმაოდ საინტერესო პროექტი, სადაც გამოყოფილია 3 კლასტერი. პირველი: კახეთში - თელავი-ახმეტის; მეორე: სამეგრელოში - ზუგდიდი-მარტვილისა და მესამე - ზუგდიდი-მესტია-უშგულის. ამ კლასტერებში იგეგმება როგორც კვლევის ჩატარება, ასევე მათი განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დაგეგმვა. შესაბამისად, ეს არის ის არეალები, სადაც შეიძლება ეს გავაკეთოთ და ასევე, გერმანიის განვითარების ბანკთან ერთად, ევროკავშირის დახმარებით, გვაქვს იდეა ყაზბეგის განვითარების ასეთივე გეგმა შევიმუშაოთ", - განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

# რეგიონული მმართველობის მიმართულებით საკადრო ცვლილებები იქნება - პრემიერი

„რეგიონული მმართველობის არსებული სტრუქტურა ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც დღეს არის ჩვენს რეგიონებში აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი პირველი, რასაც ახალი მთავრობა გააკეთებს, იქნება სტრუქტურული, ისევე როგორც მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები ამ მიმართულებებით", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რეგიონებში გუბერნატორების შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებით.

პრემიერის შეფასებით, გუბერნატორის ინსტიტუტს გაძლიერება და მოსახლეობისთვის მისაღები ფორმის მიცემა სჭირდება.

„ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ტიპის ბიუროკრატიული დონეები, რომელიც მოსახლეობას ვერ მოუტანს დამატებით სიკეთესა და შეღავათს.

ვფიქრობ, ეს ინსტიტუტი აუცილებელია, მას სჭირდება გაძლიერება, ისეთი ტიპის მოქნილი სტრუქტურის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოსახლეობისგან მივიღოთ ადგილზე არსებული პრობლემური საკითხები და ამავე დროს, ვიმუშაოთ ამ საკითხების მაქსიმალურად ოპერატიულ რეჟიმში აღმოფხვრაზე.

ვფიქრობ, მმართველობითი სტრუქტურების გარკვეული ნაწილის ეფექტურობა ძალიან დაბალია და საჭიროებს სერიოზულ ცვლილებებს, მათ შორის საკადრო ნაწილში", - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# შალვა თადუმაძე - წაგებული საქმე არ არის პროკურატურის პასუხისმგებლობა

სამწუხაროა, რომ პროკურატურა უკანასკნელი წლების განმავლობაში ხშირად პოლიტიკური დარტყმის ობიექტია, - აღნიშნული განცხადება გუშინ, საპროკურორო საბჭოს სხდომაზე, მთავარი პროკურორობის კანდიდატმა შალვა თადუმაძემ გააკეთა.

საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერში თადუმაძე აღნიშნავს, რომ კანონი იძლევა სრულ შესაძლებლობას, პროკურორმა იცოდეს, რაზეა პასუხისმგებელი და არ აიღოს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე ეკუთვნის. მისივე განცხადებით, წაგებული საქმე არ არის პროკურატურის პასუხისმგებლობა.

„პოლიტიკური დარტყმის ობიექტი არის იმიტომ, რომ ერთის მხრივ რაღაც სტანდარტების გაყოფა არ ხდება და პროკურორის მინუსად ითვლება, თუ საქმე წააგო, ან პროკურორის მინუსად ითვლება, თუ საქმე შეწყვიტა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში პროკურორი იწყებს დევნას, წყვეტს საქმეს, ან არ წყვეტს, ან დგება გამამართლებელი განაჩენი, ან არ დგება გამამართლებელი განაჩენი. ამიტომ არის, რომ მართლმსაჯულებაში ამდენი კომპონენტი მონაწილეობს, რომ ერთი ადამიანის ჭკუაზე არ იყოს მოწყობილი. ვფიქრობ, კანონი იძლევა სრულ შესაძლებლობას, რომ პროკურორმა და პროკურატურამ იცოდეს, რაზეა პასუხისმგებელი და არ აიღოს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, რაც არის ვთქვათ წაგებული საქმე. მიმაჩნია, რომ წაგებული საქმე არ არის პროკურატურის პასუხისმგებლობა", - განაცხადა შალვა თადუმაძემ.

# ახალი მთავრობა წარდგენილია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა წარადგინა.**

ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ცვლილება მხოლოდ სამ მინისტრს შეეხო, ახალ კაბინეტში თანამდებობა შვიდმა მოქმედმა მინისტრმა შეინარჩუნა. პრემიერის გადაწყვეტილებით, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სათავეში ჩაუდგება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი, ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მიხეილ ბატიაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ჰარვარდის ბიზნესსკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის წევრია. როგორც კანდიდატების წარდგენისას პრემიერმა განაცხადა, მიხეილ ბატიაშვილს მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება აქვს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან და იმედი გამოთქვა, რომ იგი თავისი გამოცდილებით განათლების სისტემაში მთავრობის მიერ დაგეგმილ 5-დონიან რეფორმას წარმატებით განახორციელებს.

"თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროფესიით ექიმი გიორგი ქობულია კი ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. მას 2001 წლიდან დღემდე მსოფლიოში უმსხვილესი საკონსულტაციო კომპანია "მატკინზის" მოსკოვის ოფისში უფროსი პარტნიორის პოზიცია ეკავა და კონსულტაციას უწევდა ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი აირის, მეტალურგიისა და წიაღისეულის მომპოვებელ-გადამამუშავებელ საერთაშორისო კომპანიებს. ქვეყნის პირველი ფინანსისტის პორტფელს კი ჩაიბარებს კომპანია "ჯეოსელის" კომერციული დირექტორი ივანე მაჭავარიანი, რომელიც, ბახტაძის თქმით, ყველაზე გამოცდილი ადამიანია და მაქსიმალურად დაეხმარება მთავრობას "ქართული ეკონომიკის ციფრულ ტრანსფორმაციაში". "ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის - არჩილ თალაკვაძის თქმით, უმრავლესობა მზად არის, მხარი დაუჭიროს პრემიერის მიერ შემოთავაზებულ "საქმიან პოლიტიკას" და იმედი გამოთქვა, რომ ახალ კანდიდატებს, რომელთაც წარმატებული კარიერა ჰქონდათ თავიანთ სფეროებში, არ გაუჭირდებათ დაკისრებული ამოცანის შესრულება. მმართველი გუნდის ამ პათოსს არ იზიარებს ოპოზიცია. ისინი პრემიერის მიერ წარმოდგენილ გუნდში ვერ ხედავენ წონიან პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც შეძლებენ ქვეყნისთვის საჭირო რეფორმების გატარებას.

კაბინეტში სამი ახალი მინისტრია: ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი იქნება, ეკონომიკის მინისტრის პოსტი გიორგი ქობულიამ დაიკავა, ხოლო განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი იქნება, მთავრობის ადმინისტრაციას კახა კახიშვილი უხელმძღვანელებს.

პოსტს ინარჩუნებს მინისტრთა კაბინეტის ძალოვანი უწყებების ბლოკი, მათ შორის თეა წულუკიანიც, რომლის შეცვლასაც საზოგადოების ნაწილი ითხოვდა.

კაბინეტი 10 მინისტრისა და 1 სახელმწიფო მინისტრის შემადგენლობით დაკომპლექტდა.

პროცედურის თანახმად, მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს, რის შემდეგაც შემადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში გადაიგზავნება, რასაც დამტკიცებამდე კომიტეტებში განხილვები მოჰყვება.

ეკონომიკის მინისტრის პოსტზე წარდგენილ გიორგი ქობულიას აზრით, ქვეყანაში სიღარიბის ზრდა არ არის, მაგრამ არის სტაგნაცია სიღარიბის მიმართულებით.

„საქმე იმაშია, რომ თუკი არის სტაგნაცია სიღარიბის მხრივ, ეს უკვე ძალიან ცუდია. ამიტომაც გვინდა რაღაც ახალი გავაკეთოთ, რათა ამ პრობლემის დაძლევა მოხდეს", - განაცხადა ქობულიამ ხუთი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

მისივე შეფასებით, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში არის ეკონომიკური ზრდა და ამ მიმართულებით 5-7%-იანი ზრდა მაღალი მაჩვენებელია.

„ეკონომიკა 10%-ით რომ გაიზარდოს, სტრუქტურულად არის ძალიან რთული. 5-7-8% არის მაღალი ზრდა. ზრდის 10%-ს რომ მივაღწიოთ, ეს არის სასწაული. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები და გვქონდეს რეალური მოლოდინები", - განაცხადა ქობულიამ დეპუტატების კითხვის პასუხად.

„განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სკოლამდელი განათლება და ბავშვების ზოგადი უნარების განვითარება," - ამის შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პოსტზე წარდგენილმა მიხეილ ბატიაშვილმა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომელზეც მთავრობის შემადგენლობისთვის და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილება.



მიხეილ ბატიაშვილმა დეპუტატებთან სკოლამდელი აღზრდის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სამინისტროს გარკვეული ხედვა გააჩნია.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი განათლების სისტემის არის სკოლამდელი განათლება. ეს მიმართულება მნიშვნელოვნად გასაძლიერებელია. ამ სფეროში, რომელიც იგივე ინფრასტრუქტურას შეეხება, მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს. თუმცა, ახლა გვჭირდება ცოტა ხარისხობრივი კომპონენეტების შემოტანა, რომელშიც იგულისხმება იგივე სკოლამდელ განათლებაში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩართვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება ბავშვების ზოგადი უნარების განვითარება. რომელიც იქნება ვთქვათ სხვადასხვა ლიტერატურის, თანამედროვე თამაშების და, რაც მთავარია, ტექნოლოგიების მეშვეობით. შევეცდებით ყველა კომპონენტი, რომელიც სკოლამდელ განათლებაში იქნება მოქცეული პასუხობდეს დროს, მოთხოვნებს და რაც მთავარია ჩვენი ბავშვების განვითარებაზე მუშაობდეს", - განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

საკუთარი ხედვა და დარგის პრიორიტეტები მიმოიხილეს ძველმა მინისტრებმაც.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატს დავით სერგეენკოს პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე კითხვები წამლის ფასებსა და ხელმისაწვდომობაზე დაუსვეს.

მინისტრობის კანდიდატის თქმით, წამლებზე ხელმისაწვდომობა პირველი რიგის პრობლემაა, რასაც ორი ფაქტორი განსაზღვრავს - საკუთრივ ფასი და გამოწერილი მედიკამენტების რაოდენობა.

სერგეენკოს განმარტებით, გასულ წელს დაწყებული პროგრამა, რომლითაც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ თვეში მაქსიმუმ ერთ ლარად შეიძინონ მედიკამენტები, მიმდინარე წლის ივლისში გაფართოვდება, რათა ასაკით პენსიონერებმაც და შშმ პირებმაც შეძლონ შეღავათებით სარგებლობა.

დავით სერგეენკომ კიდევ ერთხელ მოუწოდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომ ისარგებლონ მნიშვნელოვანი შესაძლებლობით და ჩაერთონ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში.

რაც შეეხება ფასებს, დავით სერგეენკოს თქმით, ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში 100%-ით კერძოა.

„სახელმწიფოს არ აქვს საპირწონე, შესაბამისად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს 3 მიდგომა პირველი - კერძო - სახელმწიფო თანამშრომლობის მოდელები, რასაც ვიყენებთ. მეორე - დააწესოს მოგების ზღვრები და მესამე - უზრუნველყოს სისტემის მაქსიმალური კონკურეტუნარიანობა. კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფილია, რადგან ბაზარი მართლაც გახსნილია. თანამშრომლობა, ჩემი აზრით, უმჯობესდება ბოლო პერიოდის განავლობაში; ზღვრის დაწესებას რაც შეეხება, ჩვენ შეგვიძლია, მოგების ზღვარი დავუწესოთ მწარმოებლის ფასიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენ ზემოქმედებას ვერ მოვახდენთ მწარმოებლის ფასზე. თუმცა არ ნიშნავს, რომ ეს თემა დახურულია. ჩვენ გვაქვს ამ საკითხზე კონსულტაციები, რომელსაც ალბათ გავაგრძელებთ", - განაცხადა დავით სერგეენკომ.

# წლის ბოლომდე არხილოსკალო-სამთაწყაროს საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში გამართულ შეხვედრას დესწრო.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არხილოსკალო-სამთაწყაროსა და ქუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ზემო ქედის, არხილოსკლოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოს მოსახლეობას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა გააცნო, რომელიც გულისხმობს გზების მშენებლობის პროცესში ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და სოციალური მიმართულებით გასათვალისწინებელ ნორმებსა და მათი დაცვის სტრატეგიას.

„მინდა, მოგახსენოთ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო პროექტების შესახებ: ახლო მომავალში გაგრძელდება ქუბმათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს გზის სრული რეაბილიტაცია და ჩვენს მოსახლეობას საბათლომდე ასფალტიანი გზით ჩასვლის შესაძლებლობა ექნება. ასევე, უახლოეს პერიოდში დაიწყება და წლის ბოლომდე დასრულდება არხილოსკალო-სამთაწყაროს საავტომობილო გზის 6 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა"- განაცხადა შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



# სტუმრად „საზაფხულო სახლში“...

ზაფხულის გაუსაძლისს სიცხეებს ისიც ემატება ხოლმე, რომ ბავშვებს საბავშვო ბაღებში ორთვიანი არდადეგები ეწყებათ და მშობლებს - საფიქრალი, სად წაიყვანონ ბავშვები ორი თვის მანძილზე, ვის დაუტოვონ სამუშაო საათებში... მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ერთი მორიგე ბაღი მუდმივად ფუნქციონირებს დასვენების გარეშე იმ ბავშვებისთვის, ვისი ორივე მშობელიც მუშაობს და დამტოვებელი არავინ ჰყავს. ორიოდე კვირის წინ N1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ დალი მაძღარაშვილის კედელზე წავიკითხეთ განცხადება, რომ სურვილის შემთხვევაში შეეძლო ბავშვების სახლში დატოვება, შემდეგ მის კედელზე ნაირ-ნაირი ფოტოებიც შევნიშნეთ და სახალისო ინტერვიუსთვის გავეშურეთ დალი მასწავლებლის „საზაფხულო სახლისკენ“, რომ იქ საინტერესო და კრეატიული ამბები მოგვესმინა...



დალი მასწავლებელი, თითქმის ორი ათეული წელია, სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობს და პედაგოგიურ გამოცდილებასთან ერთად აქვს საოცარი ნიჭი სიახლეების დანერგვის, ბავშვებში ფანტაზიის უნარის ჩამოყალიბებისა და მათში არსებული უნარების რეალიზებისა. სამი შვილის დედას, მათ შორის ორი სტუდენტისას, ცხოვრებამ უკვე მიაყენა მძიმე დარტყმა ახალგაზრდა მეუღლის ტრაგიკულად გარდაცვალებით და არ მისცა მოდუნების საშუალება. მას პრაქტიკულად ღამეც სულ რამოდენიმე საათი სძინავს, რადგან სულ მუშაობს, მუშაობს ყველგან, სადაც გამოუჩნდება სამსახური, არ უკადრისობს არაფერს, აცხობს, კერძო შეკვეთებს ღებულობს, დამხმარედ და ძიძადაც კი მიდის, თუ შესთავაზებენ... ოღონდ მის შვილებს არაფერი გაუჭირდეთ, მათ ისწავლონ და ღირსეულ მოქალაქეებად აღიზარდნენ...

**-ქ-ნო დალი, გვიამბეთ, რატომ გადაწყვიტეთ, რომ არ დაგესვენათ ზაფხულის ამ ცხელ დღეებში და თქვენი ენერგია ისევ თქვენი ყველაზე საყვარელი საქმისთვის დაგეთმოთ?**

-სიმართლე გითხრათ, მე ასე უფრო კარგად ვისვენებ, ბავშვების გარეშე უკვე ერთი დღეც ველარ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება, ისინი მეხმარებიან , რომ დავძლიო ყველაფერი , მოვაგვარო ყველა პრობლემა და ცხოვრება განვაგრძო ჩემს შვილებთან ერთად ჩვეულ რიტმში...

**-ასეთ ნდობას რომ გიცხადებენ მშობლები, ეს უკვე ძალიან დიდი პატივია, ეს იმ იმედების გამართლების შედეგია, რომელიც თქვენ დაგიგროვდათ ამ წლების მანძილზე , იმ დაუღალავი შრომის შედეგია, იმ განსაკუთრებულად საინტერესო ღონისძიებებისა თუ ღია მეცადინეობებისა საბავშვო ბაღში, ბავშვებში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა, რომელშიც უდიდესი წვლილი მიგიძღვით. მოგვიყევით, როგორ მუშაობთ სახლის პირობებში?**

- სახლის პირობებში ანუ არაფორმალურ გარემოშო ბევრი ჩემი ოცნების განხორციელება შევძელი, რასაც მაგალითად საბავშვო ბაღში ვერ განვახორციელებდი. მაგალითად, შინაურ ცხოველებთან(კურდღლებთან, ქათმებთან) დამეგობრება და ასე შემდეგ, გზადაგზა მოგიყვებით.

ყოველ დილით ვატარებთ დილის წრეს და ვაყალიბებთ დღის რეჟიმს. ბავშვები თვითონ გეგმავენ თავიანთ დღეს, ეს მათ უპირატესობას ანიჭებს, თვითონ ადგენენ წესებს , როგორ მოექცნენ ერთმანეთს (მაგ. როდესაც ერთი და იგივე სათამაშო უნდათ), ვმუშაობთ ბოსტანში, იკისრეს პატარა ნათესების მოვლა და დიდი რუდუნებით აკეთებენ დაკისრებულ მოვალეობას, უსაზღვროა მათი პასუხისმგებლობა, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ აუზის შეძენა, მაგრამ გაგრილების ალტერნატიული წყარო გამოვნახეთ ჩვენი კრეატიული იდეების წყალობით, შევღებეთ ძველი კასრები, დავახატეთ ზედ პერსონაჟები და შევქმენით „შაქრო“ და „კეკელა“,(ვცდილობთ ქიზიყური მეტსახელების გამოყენებას), შემდეგ ვასხამთ წყალს და გიყვარდეთ, გაგრილება, მხიარულება არ სწყინდებათ ჩემს პატარებს. არ გვაკლია ცეკვა, სიმღერა, გართობა-თამაშები, სათამაშოებსაც ერთად ვამზადებთ. მეხმარებიან სადილების მომზადებაში, წიწიბურას გარჩევაში(ნატიფი მოტორიკის განსავითარებლად) პიცისა თუ ხაჭაპურის ცომის მოზელაში, ნამცხვრის ცხობაში, ხინკლის დამზადებას ვასწავლი და ა. შ. ვცდილობ, ჩავრთო და მონაწილეობა მივაღებინო ყველაფერში, გვყავს ქათმები, წიწილები, ნაჩუქარი ბაჭიები- ხატია და ბაჭია, რომელთაც ვკვებავთ და ვზრუნავთ მათზე, ანუ სოფლის მეურნეობასაც ვსწავლობთ ბევრ სხვა რამესთენ ერთად. ბავშვებს, საღამოს მშობლები რომ მოდიან, სახლში წასვლა აღარ უნდათ ხოლმე...



**-სულ რამდენი ბავშვი გყავთ?**

-იცით, ხან ხუთი, ხან ექვსი, გააჩნია დღეს, სულ ახლობლების და მეგობრების შვილები არიან. ამ თვის ბოლომდე მეყოლებიან ასე, მერე მეც სხვა შემოთავაზება მაქვს და ერთი თვე აქ არ ვიქნები, თუმცა, ამ ბავშვებთან გატარებული დღეები დიდხანს მომანიჭებს სიხარულს და საგზლად გამყვება მომავალ საქმიანობაში...

**მადლობა, დალი, დიდი ხანია ასეთ სახალისო და საინტერესო გარემოში ინტერვიუ არ ჩამიწერია, უცებ ბავშვობაში დამაბრუნეთ და იმ სიხარულის განცდა აღვიდგინე, როგორიც ბავშვებს გვქონდა ხოლმე, მადლობა ამისთვის შენ და შენს პატარებს, გისურვებ წარმატებებს, შენ რომ გიყურებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ვისაც შრომა უყვარს, გამოსავალს ყოველთვის იპოვის და არასოდეს გაიხდის საქმეს სხვისთვის შემწეობის სათხოვნელად.**

ელზა ხარაშვილი

# კონდიციონერი - მტერი თუ მეგობარი?!

***კონდიციონერს, ცხადია, გამაგრილებელი ფუნქცია აქვს და დასიცხული ადამიანების მდგომარეობას საგრძნობლად ამსუბუქებს, მაგრამ რიგი დაავადებების პროვოცირებაც შეუძლია.***

***რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონდიციონერს ადამიანის ჯანმრთელობაზე და უშუალოდ რომელ დაავადებებს იწვევს ორგანიზმში?*** - ამ საკითხებზე გვესაუბრება კახა ვაჭარაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფტიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სპეციალისტის თქმით, კონდიცირებისას ჰაერის გამოშრობა ხდება, დეიონიზაცია. გარემო იონებისგან იცლება, არადა, იონები ორგანიზმისთვის აუცილებელია. ირღვევა თერმორეგულაცია (გარეთ 40 გრადუსი სიცხეა და შიგნით - 20 გრადუსამდე გაციებული ოთახი), რისთვისაც ადამიანის ორგანიზმი მზად არ არის.

როგორც ექიმი ამბობს, კონდიციონერი ყველაფერთან ერთად, ბაქტერიების გავრცელების წყაროა (განსაკუთრებით, ცენტრალიზებული კონდიცირება) და საქმე გვაქვს ბაქტერიულ ფლორასთან, ანუ სივრცეში, სადაც ადამიანები იმყოფებიან, დაბინძურებულ ფილტრებს ჰაერთან ერთად, ბაქტერიული ფლორა შემოაქვს (ბაქტერიები, მიკრობები, ათასი ინფექციის გამავრცელებელი ელემენტი).

**- ეს ყველაფერი ხომ გარეთ, ატმოსფეროშიც ტრიალებს და მათ ისედაც შევისუნთქავთ...**

- კი, მაგრამ გარეთ გაშლილი გარემოა, აქ კი მოკლე ფილტრებში ხდება ბაქტერიების ჩაბუდება და შემდეგ იმ სივრცეში გავრცელება, სადაც ვიმყოფებით. ეს იმ შემთხვევაში, თუ კონდიციონერს სათანადოდ არ ვუვლით...

**- უშუალოდ რა დაავადებებს იწვევს?**

- ისეთ მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, როგორიც არის გაციება, ვირუსული ინფექციები, ტრაქეიტი, ბრონქიტი, სინუსიტის, ფარინგიტი, პნევმონია, შარდ-სასქესო სისტემების დაავადებები (განსაკუთრებით ქალებში, ცისტიტის სახითაა გამოხატული), საყრდენ-მამოძრავებელი და კუნთოვანი სისტემის დაავადებები, მიოზიტი, ნერვულ სისტემაზე გავრცელებული დაავადებები, ჰერპესი და ა.შ.

როდესაც კონდიციონერი ადამიანს პირდაპირ უბერავს, ეს მექანიკური დაზიანებაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ეს ჭავლი ავიცილოთ, არ უნდა გვიბერავდეს. საჭიროა, გარე და შიდა გარე-მოში დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმები. სხვაობა დაახლოებით, 4-დან 6 გრადუსამდე უნდა იყოს და არა ვთქვათ, 10-12, ან 20 გრადუსი.

**- თუ გარეთ 40 გრადუსია, ხოლო კონდიცირების შედეგად ოთახში 21-24... ამ დროს რა ხდება?**

- ეს დიდი ცვალებადობაა, სადაც მარტივი გამოსავალი ასეთია: სანამ 45-გრადუსიანი გარესივრციდან კონდიცირებულ 23-24 გრადუსში შეხვალთ, ცოტა ხანს შუალედურ გარემოში შეყოვნდეთ, სადაც ტემპერატურა გათანაბრებული იქნება. ეს დაახლოებით გარედან შემოსული ადამიანის მიერ ცივი ყინულიანი წყლის მიღებას ჰგავს. არადა, ჯერ ოთახის ტემპერატურის წყლის მიღება ჯობია და მერე ყინულიანის. დაახლოებით ასევეა კონდიციონერთან მიმართებაშიც. ამიტომ, სასურველია, შევყოვნდეთ შუალედურ გარემოში (ჰოლი, დერეფანი, მისაღები ოთახი) და შემდეგ გადავინაცვლოთ გაგრილებულ ოთახში, რომ ჩვენმა სასუნთქმა სისტემამ გარემო ცვლილებებსა და გარდატეხაზე ადაპტაცია მოახდინოს.

**- ალბათ მნიშვნელოვანია კონდიციონერის, თავად აგრეგატის ხარისხიც.**

- რა თქმა უნდა, როცა მაღალი დონის კონდიციონერი დგას, იქ რისკები ნაკლებია. დაუშვებელია იაფფასიანის დაყენება, ეს დამღუპველია. თანამედროვე კონდიციონერები, როგორც ვთქვით, თვითონ ახდენენ ოთახში იონიზაციისა და ტენიანობის დონის შენარჩუნებას და, რაც მთავარია, მოქალაქეების ბაქტერიებისგან დაცვას. ისეა აღჭურვილი, რომ ჭავლს ადამიანს თვითონ არიდებს, მიმართულებას უცვლის, რომ მექანიკური დაზიანება არ მოხდეს.

**- თავი როგორ დავიცვათ მოსალოდნელი საფრთხეებისგან?**

- კონდიციონერს სწორად უნდა შერჩევა, შემდეგ ბიოფილტრების ხშირი ცვლაა საჭირო, ან რეცხვა, მტვერსასრუტით გაწმენდა. თუკი ერთხელ მაინც გინახავთ კონდიციონერის ფილტრი, ნახავდით, როგორი დაბინძურებულია. ამიტომ, წელიწადში



2-ჯერ უნდა გაიწმინდოს, განსაკუთრებით იქ, სადაც საზოგადოების თავშეყრის ადგილებია (ორგანიზაციები, ოფისები, კლინიკები).

ხაზგასმით საშიშია ცენტრალური კონდიცირების შემთხვევა, - ამ დროს ინფექციამ შეიძლება ერთი სივრციდან მეორეში გადაინაცვლოს, მეორედან მესამეში და ა.შ. ამიტომ, ბიოფილტრების გაწმენდა-გარეცხვისას ბაქტერიების გავრცელების საფრთხე ნაკლებია.

ხშირია პნევმონიების რისკი და ერთ-ერთი საშიში პნევმონიაა “ლეგიონელას” მიერ გავრცელებული (პნევმონელა ლეგიონელა). აგრესიული ბატქერიაა, რომელიც ისეთი მწვავე რესპირატორული დაავადებების განვითარებას იწვევს, როგორიცაა ფილტვების ანთება. “ლეგიონელა” იმიტომ ჰქვია, რომ სივრცეში ადამიანები ერთად და მჭიდროდ იმყოფებიან. ეს უჯრედშიდა გავრცელების ატიპიური მიკრობია, რომელიც, როგორც ვთქვით, დიდი აგრესიულობით გამოირჩევა. ამიტომაც, ექიმები მასთან საბრძოლველად მზად უნდა იყვნენ, დაიწყონ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია...

მოკლედ, სიმპტომების გამოვლენისას, მიყრუება არ შეიძლება, მკურნალობისთვის პაციენტმა ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოს. თუმცა, თუ კონდიციონერს გონივრულად მოვიხმართ, ამ საფრთხეებს ავიცილებთ.

**- ცხადია, მისი მთელი დღის განმავლობაში ჩართვაც დაუშვებელია...**

- რასაკვირველია, როგორც ვთქვით, ის მასობრივად ჰაერს აშრობს და თერმულ ბალანსს არღვევს. ამ შემთხვევაში მარტივია რამდენიმე წუთი გამოვრთოთ კონდიციონერი, ჯერ ერთი, აგრეგატიც დაისვენებს. გამორთვის შემდეგ უნდა გაიღოს კარი, ან ფანჯარა, რომ დახურულ სივრცეში მსხდომებმა ახლი ჰაერის ნაკადი ისუნთქონ, რომელიც მიკროსამყაროს ჟანგბადით აღადგენს, რაც ასე აუცილებელია ჩვენი არსებობისა და სასუნქი სისტემისთვის...

ამასთან, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ დაუშვებელია ჩართულ კონდიციონერის ატმოსფეროში ძილი, რადგანაც დილით ადამიანს გარანტირებული აქვს უმძიმესი დაავადებები...

**- როგორც ვიცი, ხმის იოგებზეც მოქმედებს...**

- ჰაერის გამოშრობისა და დეიონიაციის შედეგად ხმის ტემბრიც იცვლება. ამიტომ, პროფესიონალების რეკომენდაციაა, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე ხნით გამორთოთ, გაანიავოთ ოთახი, აღადგინოთ ტენიანობის ბალანსი და შემდგომ ისევ ჩართოთ, ვინაიდან ეს მოწყობილობა ჩვენთვის არა მტერი, არამედ მეგობარია...

# ცოფის რვა შემთხვევა დედოფლისწყაროში

## რა დიაგნოზით გარდაიცვალა ცოფიანი ძაღლისგან დაკბენილი 52 წლის მამაკაცი?

***კახეთში ცოფის შემთხვევებმა იმატა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს ცოფის გამოვლენის მერვე შემთხვევა დაფიქსირდა. დიდია დაავადების კერებში გაცოფებულ ცხოველებთან კონტაქტირებული მოქალაქეების რიცხვიც. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ცნობით, ცოფის ადამიანში გამოვლენის შემთხვევები არ ფიქსირდება, ყველა შემთხვევაში ცოფის ინფექცია შინაურ და გარეულ ცხოველებს აღმოაჩნდა. ცოფი ძალიან მძიმე, ვირუსული დაავადებაა, დაგვიანებული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი უიმედოა. გახსოვდეთ, ცოფი კლავს! ის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც ყოველთვის ლეტალურად სრულდება. სიკვდილის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა დროული იმუნიზაციაა. ცოფი შეიძლება თავიდან აიცილოთ, მაგრამ მისგან განკურნება შეუძლებელია. ყოველი დაკარგული დღე ზრდის ლეტალური დასასრულის რისკს.***

მიმდინარე თვეში, 3 ივლისს ცოფის გამოვლენის განმეორებითი შემთხვევა დაფიქსირდა სოფელ არბოშიკში. ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში, სადაც წინა შემთხვევაში ცოფი ძაღლს დაუდასტურდა, ამჯერად ინფექცია იმავე ფერმის ხბოს აღმოაჩნდა. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ ცოფის კერებში დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტირებულ ყველა პირს შესაბამისი მკურნალობის კურსი უტარდება. ამდენად, წელს ცოფის ადამიანზე გადაცემის ფაქტი რეგისტრირებული არ არის. თუმცა, იყო დაავადებული ცხოველისგან ადამიანის დაკბენა-დაკაწვრის შემთხვევები.

რამდენიმე თვის წინ სოფელ სამთაწყაროში ცოფით დაავადებული ძაღლისგან დაკბენილი სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი, რომელსაც ცოფის საწინააღმდეგო ანტირაბიული მკურნალობის კურსი უტარდებოდა, გარდაიცვალა. დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ 52 წლის მამაკაცი ჯანმრთელობის სხვა პრობლემების გამო დაიღუპა და მას ცოფის დიაგნოზი არ დაუდასტურდა. მათი ინფორმაციით, **ბესარიონ ნადირაშვილის** გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის უკმარისობა გახდა. თუმცა ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ მკურნალობის პარალელურად მამაკაცი ალკოჰოლს მოიხმარდა, რაც ასეთ შემთხვევებში აკრძალულია.

ლალი ალადაშვილი ***(დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ეპიდემიოლოგი):*** „წელს ცოფის გამოვლენის შემთხვევები მომატებულია. თითქმის ყოველთვიურად ფიქსირდება ასეთი შემთხვევები, რომლებიც შემდგომში ლაბორატორიული კვლევებით დასტურდება. მიმდინარე წელს ცოფის გამოვლენის რვა შემთხვევა გვაქვს დაფიქსირებული, თუმცა, ხაზს ვუსვამ, რომ ყველა მათგანი არის ცხოველებში. რამდენიმე შემთხვევა იყო ძაღლში, ძროხაში, მგელში, ტურაში და ა.შ. თუმცა, ვეტერინარებმა დროულად ჩაგვაყენეს საქმის კურსში და ოპერატიულად გავატარეთ შესაბამისი ღონისძიებები. ძაღლი იყო, თუ მგელი, ყველა შემთხვევაში გამოვიკვლიეთ ცხოველებთან კონტაქტირებული პირები, ჩატარდა აცრების სპეციალური კურსი და შედეგი გვაქვს ის, რომ კონტაქტირებული პირები დავიცავით ამ საშიში ინფექციისგან. გარდა იმისა, რომ ვეტერინარებთან ერთად ჩვენ ეფექტურად ვერთვებით პროცესში, მინდა გითხრათ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა ინფორმირებულობა ამ დაავადების საშიშროებასთან დაკავშირებით და ამიტომ გაზრდილია მომართვიანობაც. მომართვიანობის ზრდა იმითაა გამოწვეული, რომ ახლა მოსახლეობა გაცილებით უფრო ინფორმირებულია იმის შესახებ, რამდენად სახიფათოა ცოფი, ამიტომ თავადაც დაინტერესებულნი არიან, რომ მცირე ნაკაწრის მიღების შემთხვევაშიც სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ. ხშირად ვაქვეყნებთ ინფორმაციებს ადგილობრივ პრესაში და ამან მომართვიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა.

***– რამ განაპირობა მომართვიანობის ზრდა და აწყდებით თუ არა წინააღმდეგობას, როცა ადამიანებს აცნობებთ, რომ მათი აცრები სავალდებულოა?***

– ადრე თუ შინაური ცხოველების მიერ მიყენებულ განაკაწრზე ადამიანები არ გვაკითხავდნენ, ამჯერად სურათი შეცვლილია და ყველა ცდილობს, თავი დაიზღვიოს და აცრები ჩაიტაროს. რაც შეეხება ახალ შემთხვევას, არბოშიკში ე.წ. ტინირელას ტერიტორიაზე არსებულ ერთერთ მეცხოველეობის ფერმაში ხბოს აღმოაჩნდა ცოფი. 19 ივნისს ამავე ფერმაში ძაღლი დაავადდა, ხოლო 3 ივლისს სიმპტომები უკვე საქონელში გამოვლინდა. პირველ შემთხვევაშიც ჩატარდა აცრები, მოვიძიეთ კონტაქტირებული ყველა პირი და მკურნალობის კურსი ჩაუტარდათ, მაგრამ ამჯერად იქვე ფერმაში საქონელს ისევ აღმოაჩნდა. ბოლო შემთხვევის გამო ხელახლა დაიწყო იმავე ზონაში კონტაქტირებული პირების აცრა. ცოფის გამოვლენის ყველა კერაში მოსახლეობა სათანადოდაა ინფორმირებული დაავადების არსის შესახებ და მოსალოდნელი გართულებების თაობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადრე აცრების დაწყებისას მოსახლეობაში ხშირად ვაწყდებოდით წინააღმდეგობას, ახლა ეს მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. ადამიანები ადვილად აცნობიერებენ საფრთხეს და ემორჩილებიან ჩვენს რეკომენდაციებს. შესაბამისად, ნაკლებ წინააღმდეგობას ვხვდებით.

***– რამდენიმე თვის წინ სოფელ სამთაწყაროში მამაკაცი, რომელიც ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა, რამდენიმე დღეში დაიღუპა. ბევრი ჭორი დადის ამ შემთხვევის ირგვლივ, სინამდვილეში რა მოხდა და რასთან გვქონდა საქმე?***



– მიმდინარე წლის 26 იანვარს სოფელ სამთაწყაროში ქუჩის მაწანწალა ძაღლის გაცოფების თაობაზე გვაცნობა ვეტერინარულმა სამსახურმა. ოპერატიულად ჩავედით დაავადების კერაში, დავადგინეთ ძაღლთან კონტაქტში მყოფი ყველა პირის ვინაობა და დავიწყეთ ანტირაბიული მკურნალობა. ადგილზე ძალიან რთული ვითარება დაგვხვდა, რადგან, აღმოჩნდა, რომ ძალიან დიდი რაოდენობით მაწანწალა ძაღლები იყვნენ და იყო საფრთხე, რომ ინფექცია სხვა ცხოველსაც ჰქონოდა. ამას გარდა, დიდი იყო კონტაქტირებული ადამიანების რიცხვიც. ასევე ბევრი იყო ამ ძაღლის მიერ დაკბენილი საქონელი. ამ შემთხვევის გამო სრული კურსით აიცრა სულ 36 ადამიანი. 1965 წელს დაბადებული მამაკაცი, სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები ბესარიონ ნადირაშვილი ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი იყო ცხვირის არეში. მოგეხსენებათ, თუ ადამიანი დაკბენილ-დაკაწრულია სახის არეში, ამ შემთხვევაში ვირუსი გაცილებით სწრაფად მრავლდება და პროგრესირებს. ასეთ დროს იმუნოგლობულინის დიდ დოზას ვუკეთებთ, რადგან სახისა და ხელის კიდურების ინფექცია სწრაფად ვრცელდება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს მამაკაცი დროულად გამოცხადდა ჩვენთან, ოპერატიულად გატარდა ყველა საჭირო ღონისძიება. გაკეთებული აქვს იმუნოგლობულინიც და ფაქტობრივად ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა. გვაქვს შესაბამისი დოკუმენტაციაც, რომ ამ ადამიანში ცოფი არ დადასტურდა. ანუ, ეს პაციენტი დამძიმდა მისი ჯანმრთელობის სხვა პრობლემების გამო. გადაყვანილ იქნა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში. რადგანაც რისკის ქვეშ იყო, ბუნებრივია ჩვენ შემდეგაც მივაქციეთ ყურადღება მის მდგომარეობას. ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები. მართალია სხვა გართულებებმა იჩინა თავი, მაგრამ ჩვენთვისაც საინტერესო იყო, რა განვითარება ექნებოდა მის მკურნალობას და როგორი იქნებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ლაბორატორიულმა დასკვნამ გამორიცხა, რომ ამ ადამიანს ჰქონდა ცოფი. უნდა ითქვას ისიც, რომ თავდაპირველად, სულ სხვა ჩივილებით მოხვდა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. რამდენიმე დღეში პაციენტი დამძიმდა და შემდეგ დადგა აუცილებლობა თბილისში გადაგვეყვანა. რადგან ასეთი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი საქმის კურსში ჩავაყენეთ და ამიტომაც მისი გადაყვანა ინფექციურში გადაწყდა. ჩაერთო დაავადებათა კონტროლის ცენტრი, მივიდნენ წარმომადგენლებიც. ძირითადად ღვიძლის პრობლემები გამოიკვეთა, მაგრამ ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, ხომ არ იყო ცოფის ინფექცია, რაც არ დადასტურდა. მას ღვიძლის დაავადება მანამდეც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ისეთი ჩივილები ჰქონდა, რომელიც თითქოს ემთხვეოდა ცოფის სიმპტომებს. ამიტომაც, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ვაცნობეთ მისი ისტორია და საეჭვო ჩივილები. ყველანაირი კვლევა ჩატარდა და ინფექციურში გამოირიცხა ცოფი, რის შემდეგაც სხვა დიაგნოზი დაისვა. სწორედ ამ დიაგნოზით დამძიმდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. იყო გარკვეული ნიშნები, მაგრამ არ აღმოჩნდა ის, რასაც ველოდით. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ რაიონულმა ჯანდაცვის ცენტრმა დროულად გაუკეთა იმუნოგლობულინი, დროულად მოგვაკითხა და ვადების დაცვით ჩაუტარდა კურსი. ჩვენგან დასმული დიაგნოზი თბილისში შეიცვალა, ლაბორატორიული კვლევებით დაზუსტდა მისი მდგომარეობა. ამის შემდეგ პაციენტის ისტორია ჩვენთან აღარ მოხვედრილა. ამიტომ იქ დასმულ დიაგნოზს დაზუსტებით ვერ გეტყვით, რაიმე შეცდომა რომ არ დავუშვა, თუმცა დასკვნა გვაქვს, რომ ეს ცოფი ნამდვილად არ იყო.

***– არსებობს ინფორმაცია, რომ პაციენტი ანტირაბიული მკურნალობის პერიოდში ალკოჰოლს მოიხმარდა, რამაც ვითარება გაართულა...***

– მოიხმარდა თუ არა დაკბენილი პაციენტი ალკოჰოლს, ამის დადასტურება, ან უარყოფა მე არ შემიძლია, რადგან პირადად არ შევსწრებივარ და არ ვარ თვითმხილველი. თუმცა, მეც მსმენია და ამაზეც საუბრობენ სოფელში, რამოდენიმე ადგილობრივმა გვითხრა, რომ მამაკაცი პარალელურად ალკოჰოლს მოიხმარდა. ჩვენ აცრების დაწყებისას პირველ რიგში, ყველას კატეგორიულად ვაფრთხილებთ, რომ აკრძალულია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ ალკოჰოლური სასმელები“.





„ყველა შემთხვევაში გამოვიკვლიეთ ცხოველებთან კონტაქტირებული პირები, ჩატარდა აცრების სპეციალური კურსი და შედეგი გვაქვს ის, რომ კონტაქტირებული პირები დავიცავით ამ საშიში ინფექციისგან“

დედოფლისწყაროს მერი ამბობს, რომ ყველა სოფელში, სადაც ცხოველებში ცოფი დადასტურდა შესაბამისი ზომები გატარდა და დაავადების გავრცელების კუთხით საფრთხე აღარ არსებობს.

**„ცოფის შემთხვევა არის სოფელ არბოშიკში, რომელზეც ახლა კვლევა მიმდინარეობს. სამთაწყაროს შემთხვევაზე უკვე დადასტურებულია და შესაბამისი ზომებია მიღებული. პარალელურ რეჟიმში სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ატარებენ აცრით სამუშაოებს სოფელ არბოშიკში, რათა მოხდეს აღნიშნული შემთხვევის ლოკალიზება“** – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

კახეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების მონაცემებით, ირკვევა, რომ ადამიანებს უფრო ხშირად ოჯახში მყოფი შინაური ცხოველები კბენენ. მათ შორისაა კატა, ძაღლი, ცხენი, ღორი და კურდღელი. სპეციალისტები მოსახლეობას მოუწოდებენ დაკბენის შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ საავადმყოფოს ან პოლიკლინიკას, რათა შემდგომი გართულება თავიდან აიცილონ. მართალია, ცხოველების მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევები უმეტესწილად ოჯახში მყოფ ცხოველებზე მოდის, მაგრამ პრობლემურია უპატრონო ძაღლებიც. რეგიონში მაწანწალა ძაღლების თავშესაფრის აშენება იგეგმება, თუმცა როდის, ვერავინ აკონკრეტებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# უ ს ა თ ა უ რ ო დ . . .



*სალომე ნატროშვილის ჩანახატი მამაზე „უსათაუროდ“ 2017 წელს ავტორისგან მოულოდნელად, ლიტერატურულ ჟურნალ “ანეულში” მოხვდა. მოთხრობამ ახალგაზრდა, თანამედროვე მწერალთა დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო ავტორმა მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ შეიტყო, რომ ნაწარმოებმა ფეისბუქის პირადი გვერდიდან ცნობილი მწერლების შემოქმედების გვერდით დაიკავა ადგილი.*

მამაჩემი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მამამისის შვილი! ცხოვრების ერთ სფეროში განხორციელებული და თითქმის ყველა დანარჩენში — მარცხით, წაგებით სავსე.

მამაჩემი — ბევრის მეგობარი და ძალიან მარტო საკუთარ უძილობაში, ვნებებსა და ცდუნებებში.

მამაჩემს თითქმის ყოველთვის (ეს დრო ძალიან ცოტა იყო) ვხედავდი ოთახში, წიგნით ხელში, სახესა და თვალებზე საგულდაგულოდ ჩამოფხატულით, ცრემლები რომ დაეფარა და თუ მაინც ვერ გამოსდიოდა, ცუდ შუქს აბრალებდა. მაინც სულ წყლიანი ან ამღვრეული თვალებით დადიოდა.

მამაჩემი — ფატალისტი — ბედთან, სიცოცხლესთან, სიკეთესთან, დროსთან და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენ რამესთან მოთამაშე. ყველაზე უკეთ იცოდა, რას უმზადებდა საკუთარ თავს და უკან არ დაუხევია არასდროს. ამბობდა, კარგი ბედი მაქვსო, ირონიას არ აკლებდა საკუთარ თავს, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ბედი ჰქონდა, წვალების გარეშე აცდა ბევრ ტანჯვას, რომლისთვისაც არც თავს და არც სხვებს დაზოგავდა.

მამაჩემის დათბობა ძალიან ადვილი იყო, უნდა მოფერებოდი. თუმცა, არა — აუარება, გამოულეველ ძალისხმევას ითხოვდა — სითბოს, სიჩუმეს, დათმენას და სანაცვლოდ არაფერს ან ვერაფერს გაიღებდა და ესეც უნდა მიგეღო და ვინ იცის, იქნებ დაგეყოლიებინა, რომ ცოტათი უფრო მეტ ხანს და მშვიდად ეცხოვრა. ან იქნებ — ვერც...

მამაჩემი — სახასიათო სიჯიუტით, ენთუზიაზმით დაემშვიდობა სიცოცხლეს, რომელზეც ამბობდა, რომ უყვარდა. უყვარდა სპეციფიკურად და მარტოს. მამაჩემს ნამდვილად და ხშირად ჩემთვის გაუგებარი (მაშინ!) უანგარობით უყვარდა მეგობრები, თრობა, მუსიკა, მზე, დილა... უყვარდა სამშობლო თავისებურად, მაგრამ ძლიერად. და-ძმა!

ის თითქმის ყოველთვის მიწუნებდა გემოვნებას, რიტმს, სტილს, ინტელექტს. მიწუნებდა სარკასტულად, ცინიკურადაც კი და მეც სულ რაღაცას ვუმტკიცებდი და იქნებ ახლაც(?). დაცინვით, თითქმის ძალდატანებით შემაყვარა კითხვა. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რაღაცაში ხომ უნდა მიმებაძა და არჩევანი არ მქონდა! უხაროდა მსგავსება სიცილში, თვალებში.

რა დატოვა მამამ?! ხანგრძლივი კოშმარი, გაწვდილი ხელით, რომელიც სულაც არ იყო საშველად გაწვდილი. მისი საშველად გაწვდილი არც ხელი, არც სიტყვა მე არ მინახავს და გამიგონია, ან არ ვიხსენებ. ბევრი კარგი და ცუდი მოგონება.

მამაჩემს კარგი იუმორი, ძალიან კეთილი გული და ულამაზესი ხელები ჰქონდა, მაგრამ ყველა ეს “იარაღი” საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული. და კიდევ — კარგი ხმა, თავდაჯერებული, ოდნავ პატივმოყვარე... ძალიან ჰუმანური, ლაღი და ხმამაღალი სიცილი.. სულ ცოტა ალღო საკმარისი იყო იმის მისახვედრად, როგორი თავისუფალი იყო. ხშირად ჰქონდა განცდა, რომ “აქ”, “ჩვენ”, არ გვესმოდა, რას ამბობდა ან რისი თქმა უნდოდა. მისი ეს მაღალი წარმოდგენა საკუთარ აღქმასა და გარესამყაროს მიმართ დამოკიდებულებაზე, არცთუ იშვიათად, დამთრგუნველიც კი იყო გარშემომყოფებისთვის.

მე ზუსტად ვიცი, როგორ უნდა გელაპარაკა მამაჩემთან, ესე იგი — არა ისე — როგორც ამას უმრავლესობა აკეთებდა და ისე — როგორც ძმა. მიზანს მიაღწევდი თუ არა, არავინ იცის. ალბათ, არა... უბრალოდ, ნაკლებად გულნატკენი გავიდოდა.

არასდროს არ ეწერებოდა იმ გარემოში, რომელშიც ადამიანები იკიცხებიან, თუნდაც „სამართლიანად“. ვერ ეგუებოდა მორალისტებს... ან როგორ შეეგუებოდა, ყველა მის წინააღმდეგ იყო, ვერ ხსნიდა, რატომ... ან თუ ესმოდა, მაინც ვერ იგებდა ადამიანის ასე გამეტების მიზეზს. რისთვის უნდა გაეგო?!

ძალიან მგრძნობიარეს და ზოგჯერ სათუთსაც კი, სამწუხაროდ, არ ავიწყდებოდა ტკივილი, წყენა, თუმცა, არასდროს ამბობდა საყვედურებს და, მით უმეტეს, საქვეყნოდ. მამაჩემს, ჩემი დარდისთვის, ბოლომდე ახსოვდა, ერთხელ როგორ გავაწბილე — დავინახე და გავიქეცი. იცოდა, რატომაც, მაგრამ არ დავიწყებია.

კარგად მღეროდა, გაცილებით უკეთ, ვიდრე მე. საერთოდ, ნიჭიერი ადამიანი იყო!

ბოლოს როცა დავინახე, უბრალოდ ხელი დამიქნია და წავიდა. როცა უკანასკნელადველაპარაკე, დამპირდა, რომ სამ დღეში ვნახავდი. პირობას ასრულებდა. როგორც ჩანს, ყოველთვის არა...

მამაჩემმა იცოდა, რა იყო სიტყვა. ირწმუნებოდა, რომ სიტყვაზე ძლიერი არაფერია და ამ განუწყვეტელმა “შეგონებამ” მეტისმეტად შემაწუხა ცხოვრების იმ ეპიზოდებში, უკვე რომ აღარ იყო..

„მე რომ აქ და ახლა არ ვცხოვრობდე“.. სხვაგან და სხვა დროში უნდოდა ცხოვრება..

შეძლო.

მე არ ვიცი, რა დაიდო მძიმე პინას მეორე მხარეს, რითიც ადგილი განესაზღვრა იმ ახალ განზომილებაში, მაგრამ მახსენდება მისი გაშლილი ხელები, გული, თვალები და ცხოვრების წესის მეორე, მესამე, ან უბრალოდ “სხვა” მხარე — გაღება თითქმის ყველასთვის და ყველაფრის, ბოლომდე...

მამაჩემს ერთი მთავარი ოცნება აუსრულდა (უფრთხილდებოდა ოცნებებს და მომიწოდებდა, მიმებაძა) — მიუწვდომელი და სანატრელი გახდა!

ბევრი კითხვა დატოვა და ბევრიც გააჩინა... რა იქნებოდა? თავზე ხელს გადამისვამდა?! ალბათ, არა! ან იქნებ ძილში, როგორც სჩვეოდა.

რა შეძლო სიკვდილით? ყოფითი, მარტივი შიშები დავძლიე.. სიკვდილისაც იმდენად ნაკლებად მეშინია, რამდენადაც აქ მისი ადგილი თავისუფალია. არ მექნებოდა ასეთი მძაფრი თანაგანცდა ადამიანების მიმართ, ალბათ, არასდროს მეყვარებოდა ბიძაჩემი ისე, როგორც ახლა. არც ბებიასთან ვივლიდი 3 მარტს, იქნებ დარეკვაც კი დამავიწყებოდა ამ დღეს. დედასთან წავიდოდი. ქაოტურ ხმაურში, ძრავების, ადამიანების და წვიმის ხმაში, ვერასდროს გავარჩევდი ბავშვის ძახილს “მამა” ისე მკაფიოდ, როგორც ახლა. ბევრ საინტერესო შეგრძნებას და მუსიკას გამოვტოვებდი.

ძნელად გასაგებია, მაგრამ წასვლას აქვს თავისი ფასი! დიდი და გამორჩეული.

მამაჩემი, 50 წლის, ნახევარი საუკუნის „პატარა ბიჭი“ (ბებიაჩემი იხსენიებს ასე), ალბათ, განსაკუთრებულად აღნიშნავდა 16 ოქტომბერს. იხუმრებდა და თვალებიც აუწყლიანდებოდა ბევრჯერ.. ნასვამი აღარ შეეცდებოდა თავის შეკავებას.. დედას სიყვარულს აუხსნიდა, მამას გააგებინებდა, როგორ აფასებს.

აუცილებლად იმღერებდა! იცეკვებდა. ბევრს იცინებდა გულიანად და, ალბათ, ისევ რამეს ჩაიდენდა.

ჰო, ჩაიდენდა.

საერთოდ, ასეთი ცხოვრებით იცხოვრა — „ჩადენილით“.

ძალიან ახალგაზრდა მამა, 50 წლის — 26 წლის შვილით, აუცილებლად იამაყებდა ამ 24 წლით და თავისი „სიპატარავით“.

მამაჩემი ბევრნაირი იყო — ტკბილი, მწარე, ფიცხი, იშვიათად მომთმენი და მშვიდი, დარდიანი, ხალისიანი, მუშტებშეკრული, ძალიან იშვიათად — მოშვებული ხელებით, დაუნდობელი და მიმტევებელი, მაღალი ადამიანური ღირსებებით და ძალიან სუსტი, საბოლოოდ. თუმცა, ყველაფერში “ცივი” ან “ცხელი”, გრილი — არასდროს!

ჰოდა, რისი თქმა მინდოდა: გაბრაზებამ გამიარა.

არც ცხოვრებაზე, არც ღმერთზე, არც ბედზე, არც ვარსკვლავებზე გაბრაზებული აღარ ვარ. უსამართლო იქნებოდა და ესე იგი — მომწამვლელი, როგორც თვითონ მასწავლა.

რამე განსაკუთრებულს მოვიფიქრებდი ამ დღისთვის!

მამაჩემი კარგი ნიმუში იყო იმისა, როგორ არ უნდა მოექცე საკუთარ თავს, როგორ არ უნდა გაუშვა არცერთი შესაძლებლობა, როგორ იყო „მედდა“ ყოველთვის სხვებისთვის და გამოგრჩეს შვილი, დედა, მამა.. გაგისხლტეს მთავარი, ოღონდაც “რამე არ შეგეშალოს”.

ძალიან ბევრჯერ შუა დამალობანაობიდან გაპარული უდროობის გამო (გარეთ მეგობრები ელოდებოდნენ და ჩემთან თამაშს ხომ ყოველთვის მოასწრებდა?! ვერ მოასწრო!) და დაღლილი „ჩვეულებრივი“ ადამიანებით, სივრცით, გარემოთი, “სათანადო გაგებით” დაუკმაყოფილებელი. იმაზე ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე, ვინმე ასწავლიდა... ვერავინ ვერაფერს ასწავლიდა! არ იღებდა.

მახსოვს, რამდენჯერმე ჩემი საქციელით გაბრაზებულმა უნებურად მითხრა მე, 12 წლის ბავშვს — სალომე, ცოტა კაცურად რა—ო! მერე თვითონ ჩუმად იცინოდა. სამაგიეროდ, მე ახალი თავსატეხი გამიჩნდა, სასწრაფოდ უნდა მესწავლა “კაცურად” მოქცევა.

მე მგონია, რომ ადამიანებს თავიანთი ანგელოზები და დემონები ჰყავთ, ოღონდ — ნამდვილები! ჰოდა, სირთულე იმაშია, რომ ხშირად ერთმანეთში გვერევიან და ერთი მეორე გვგონია და მეორე — პირიქით. სიმართლე ითქვას, ბავშვობაში ხშირად მეგონა ჩემი დემონი, სინამდვილეში პირიქით იყო. რა თქმა უნდა, არა - მისი ზოგადადამიანური გაგებით:

ბევრი ფიქრობს, რომ მშობლის სიყვარული რეფლექსურია, თანდაყოლილი. მშობელს არ ირჩევ და ისეთი გიყვარს, როგორიც არის! “ჰაერია” სხვა ბევრი საზოგადო წარმოდგენასავით. მამას სიყვარულით ვისწავლე ნამდვილი სიყვარული — უპირობო, მოთხოვნების გარეშე!

* * *

„გაპარული მამა“.. ოღონდ — ოცნებებში, სიკვდილში და სიცოცლეშიც, 50 წლის უნდა გამხდარიყო, იმ ასაკის, ბევრი რამის შექმნა და თავიდან დაწყებაც კი რომ შეიძლება ..

დარწმუნებული ვარ, ვიმხიარულებდით..

სალომე ნატროშვილი

# უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი მ ო ჭ ი კ ა ნ ი

მარჯანიშვილის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში 5 ივლისს, უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი მარჯანიშვილის თეატრში უხუცესი მსახიობის, ნინო ჩხეიძის სამოქალაქო პანაშვიდზე. იგი 99 წლის ასაკში გარდაიცვალა. 1943 წლიდან უწყვეტად მოღვაწეობდაა როგორც თეატრში, ასევე კინოში. დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული თეატრალური როლები და კინოროლები გოდერძი ჩოხელის „სამოთხის გვრიტებში“, მერაბ კოკოჩაშვილის „ნუცას სკოლაში“ და სხვა, რომელთა საერთო რაოდენობა ასორმოცდაათს აღწევს. ამიტომ იყო, რომ 1990 წელს მას საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა, ხოლო 2000 წელს იგი „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ მისი კოლეგები: თამარ სხირტლაძე, ლიკა ქობულაძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თემურ ჩალაბაშვილი, მსახიობის ქალიშვილი მაია ტატიშვილი, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, რომელთაც ისაუბრეს მის შემოქმედებით მოღვაწეობაზე, გაიხსენეს თეატრში და კინოში მის მიერ განსახიერებული როლები.

სამგლოვიარო რიტუალმა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაინაცვლა, სადაც იგი დაკრძალეს.

აღსანიშნავია, რომ ამ ოჯახმა ქართულ კულტურას ორი დიდი მსახიობი მისცა და-ძმა უშანგი და ნინო ჩხეიძეების სახით.

# სახალისო ამბები გამოჩენილი კომპოზიტორების ცხოვრებიდან

როდესაც ჯუზეპე ვერდიმ ოპერა „ტრუბადური“ დაამთავრა, მიიპატიჟა თავისი ერთ-ერთი მეგობარი, გამოჩენილი კრიტიკოსი და მოასმენინა ოპერის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი.

- როგორია? - შეეკითხა კომპოზიტორი.

- გულახდილად რომ გითხრა, ჩემი აზრით, უმარილო და გამოსახულებას მოკლებულია.

გახარებული ვერდი მოეხვია მას და უთხრა:

- რა ბედნიერი ვარ, როგორი მადლობელი ვარ თქვენი! რადგან თქვენ არ მოგეწონათ ნაწარმოები, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უსათუოდ მოეწონება საზოგადოებას.

* * *

ერთხელ მილანის კონსერვატორიის დირექტორთან მივიდა ახალგაზრდა და სთხოვა, გამოეცადათ იგი. მისაღებ გამოცდაზე მან როიალზე თავისი ნაწარმოები შეასრულა. რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო პასუხი:

„კონსერვატორიაზე ფიქრს თავი დაანებეთ. უმჯობესია, მოძებნეთ მასწავლებელი ქალაქის მუსიკოსებს შორის“. ეს იყო 1831 წელს, ხოლო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მილანის კონსერვატორია ცდილობდა მიეღო საპატიო სახელი ოდესღაც მისგან უარყოფილი მუსიკოსის ჯუზეპე ვერდისა.

* * *

ლონდონში აუქციონზე სტრავინსკის ადრეული ბალეტის პარტიტურის პირველი გამოცემა იყიდებოდა. ამ იშვიათი განძის შეძენის სურვილი ბევრს ჰქონდა, მაგრამ ერთი ჭაღარა კაცი სულ უმატებდა ფასს. ბოლოს პარტიტურა მას ერგო სამი ათას ფუნტ სტერლინგად. კორესპონდენტები გარს შემოერტყნენ პარტიტურის ახალ მფლობელს.

იგორ სტრავინსკი,- წარუდგა იგი ჟურნალისტებს და თან დაუმატა, - მე ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ საკუთარ პარტიტურაში გადავიხდიდი ორჯერ მეტს, ვიდრე ოდესღაც, ახალგაზრდობაში, გადამიხადეს მთელ ბალეტში.

* * *

ერთმა მანდილოსანმა ჰკითხა სტრავინსკის:

- მაესტრო, რაზე ფიქრობთ თქვენ, როდესაც წერთ მუსიკას?

- მაპატიეთ, ქალბატონო, არაფერზე გარდა იმისა, რომ ვწერ მუსიკას.

* * *

იგორ სტრავინსკი გაემგზავრა ბარსელონაში, რათა ფესტივალზე სამი კონცერტისათვის ედირიჟორა.

-ქალაქში ჩასვლისთანავე, - ყვება კომპოზიტორი, - მომესმა მელოდია სასიამოვნო, სიურპრიზი, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ. სადგურზე დამხვედრთა შორის იყო პატარა ტანის, სანდომიანი ჟურნალისტი. ინტერვიუს მიღების შემდეგ მან მოინდომა რაღაცით ესიამოვნებინა ჩემთვის და პირფერობით წარმოთქვა:

- ბარსელონა მოუთმენლად გელოდებათ. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ უყვართ აქ თქვენი „შეხერაზადა“ და თქვენი ცეკვები „თავადი იგორიდან“.

მე არ მეყო ვაჟკაცობა გული გამეტეხა მისთვის.

ნანა ჭიჭინაძე.




**გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1959 WLIS IVLISI

◆ WITELWYAROELI MSROMELEBIS JANMRTELOBIS MDGOMAREOBIS GAUMJOBESEBAS MSOBLIURI KOMUNISTURI PARTIA DA SABWOTA MTAVROBA DID YURADREBAS UTMOBS. AM MXRIV WITEWYAROS RAIONSI UKANASKNEL WLEBSI MNISVNELOVANI NABIJEBIA GADADGMULI. 1948 WELS 4 AFTIAQI GVQONDA. MIMDINARE WELS KI UKVE 7 AFTIAQI DA 2 SAAFTIAQO PUNQTI GVAQVS. SUL 28 FARMACEVTI MUSAOBS. WITELWYAROS RAICENTRIS AFTIAQIS PROVIZOREBI DA TANASEMWEEBI GAERTIANEBULI ARIAN SAMEDICINO FARMACEVTUL SAZOGADOEBASI. VCDILOBT SISTEMATIURAD AVAMARLOT AFTIAQEBIS MUSAOBIS KULTURA. MARALXARISXOVNAD DAVAMZADOT WAMLEBI, AVAMARLOT PERSONALIS KVALIFIKACIA DA MOMSAXUREBIS DONE. VCDILOBT DAVICVAT SABWOTA FARMACEVTIS WMINDATA WMINDA MOVALEOBA, MISI RIRSEBA.

◆ SAZOGADOEBRIVI KVEBIS SAQME BOLO WLEBSI WITELWYAROSI SAGRZNOBLAD GAUMJOBESDA. MAGRAM ARSEBULI MDGOMAREOBA JER KIDEV VER AKMAYOFILEBS MSROMELTA FARTO MOTXOVNILEBAS. KERZOD, WITELWYAROS KIRIS QARXNIS SASADILO SATANADO MOMSAXUREBAS VER UWEVS QARXNIS MUSA MOSAMSAXUREEBS, RISTVISAC MUSEBI XSIRAD KANONIER UKMAYOFILEBAS GAMOXATAVEN. AQ AR ARIS DACULI SATANADO SISUFTAVE DA RAC MTAVARIA, NAKLEBAD MARAGDEBA XORCEULIT, ZEXVEULIT DA KONSERVIT. ROGORC MUSEBMA GVACNOBES, SASADILOSI AGRETVE AR SEDIS BORJOMI DA LIMONATI, RAC SASADILOSTVIS WARMOUDGENELIA. SAWIROA, SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM QMEDITI ZOMEBI MIIROS ARNISNULI USAMARTLO MDGOMAREOBIS GAMOSWOREBISTVIS. GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI MANGOSVILI GVATYOBINEBS, ROM REDAQCIIS MIER DASAXELEBULI FAQTEBI SWORIA, MAGRAM ZOMEBI MIREBULIA. MISI MTKICEBIT, MEBUFETE G. BOSTORANASVILI GANTAVISUFLEBUL IQNA SAMSAXURIDAN.

◆ WITELWYAROS SAKOLMEURNEO BAZARI DRITIDRE KETILMOWYOBILI XDEBA. AM DREEBSI EQSPLOATACIASI SEVIDA BAZRIS KOMITETIS AXALI KAPITALURI SENOBA. SEKETEBUL IQNA PRODUQTEBIS DASAWYOBI MAGIDEBI. MSENEBLOBIS PROCESSIA XORCIS SAVAWRO WERTIS SENOBA. AXLA MIMDINAREOBS BAZRIS MOEDNIS MOASFALTEBA. GEGMIT GATVALISWINEBULI 2000 KVADRATULI METRIDAN UKVE MOASFALTEBULIA 1800 KV.M. SAMUSAOEBI TVIS BOLOMDE DASRULDEBA.

◆ DIDI SAZAFXULO VAWROBA MOEWYO WNORSI. CEKAVSIRIS GAMGEOBIS DADGENILEBIT IVNISIS BOLOS DAIWYO SARAIONTASORISO SAZAFXULO VAWROBA, ROMELIC 1 TVES GAGRZELDEBA. ASETI VAWROBA UKVE MIMDINAREOBS DABA WNORSI. AQ MONAWILEOBEN SIRNARIS, WITELWYAROS, GURJAANISA DA LAGODEXIS RAIKOOPKAVSIREBIS MARAZIEBI. BAZARZE AQVT BAMBIS, SALISA DA ABRESUMIS QSOVILEBI, FEXSACMELI DA SXVA SAQONELI. WITELWYARODAN SAZAFXULO VAWROBASI MONAWILEOBS 5 SEQCIA. IYIDEBA AGRETVE FQVILI. WITELWYAROELEBMA OR DRESI 40 000 MANETIS SAQONELI GAYIDES. CVENI RAIONIS DAXLIS MUSAKEBI DAURALAVAD SROMOBEN DA KARG MOMSAXUREBAS UWEVEN WNOREL MOMXMAREBLEBS.

◆ AMASWINAT CVENI GAZETIS FURCLEBZE MOWINAVE WERILSI GAKRITIKEBULI IYO WITELWYAROS ORJONIKIZIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS PARTORGANIZACIA, IMIS GAMO, ROM IGI KEDLIS GAZETS SATANADOD AR XELMZRVANELOBS, RIS GAMOC GAZETI SISTEMATIURAD AR GAMODIS. PASUXAD PARTORGANIZACIIS MDIVANI AMXANAGI KVANWILASVILI GVWERS, ROM FAQTI SWORIA, SAKITXI PARTBIUROS SXDOMAZE GANIXILES DA DASAXES RONISZIEBANI, RIS SEDEGADAC MDGOMAREOBA UKVE GAMOSWOREBULIA. ZIREULI PRESA MOSAVLIS AREBIS PERIODSI AQTURAD CAEBMEBA SROMITI VALDEBULEBIS SESRULEBIS DA AGITACIIS SAQMESI.

## 1978 WLIS IVLISI

◆ WITELWYAROSI KOMBAINERTA SEJIBREBA GAIMARTA. SEJIBREBASI DAWINAURDNEN SOFEL GAMARJVEBIS SROMIS WITELI DROSIS ORDENOSANI KOLMEURNEOBIS AXALGAZRDA KOMBAINEREBI NODAR FIROSMANASVILI DA IVANE GOGOWURI. ASEVE DAWINAURDA ZEMO QEDIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS KOMBAINERI SULIKO SUNTIZE, ROMELMAC OR DRESI 20 HEQTARZE AIRO QERI DA KALOZE 60 TONA MARCVALI GAAGZAVNA. ASEVE, WITELWYAROS LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS KOMBAINERTA SOCIALISTURI SEJIBREBIS SATAVESI ARIAN MOWINAVE KOMBAINEREBI JEMAL OZBETELASVILI, VLADIMER KAKALASVILI DA ALEQSANDRE RIABOVI. TITOEULMA MATGANMA DRIURI NORMA GADAWARBEBIT SEASRULA DA HEQTARZE SASUALOD 31 CENTNERI MARCVALI GALEWA.

◆ JAFARIZIS KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM DA SASOFLO SABWOM KARGI SACUQARI MOUMZADES MSROMELEBS. CENTRALUR GZAZE, ERTI KILOMETRIS MANZILZE SAVI ASFALTIS SAFARI GAAKETES. UXARODA DIDSA DA PATARAS. KETILMOWYOBIL GZAZE TAVISUFLAD DADIODNEN ADAMIANEBI, SEUFERXEBLAD MOZRAOBDA TRANSPORTIC. ZAFXULIS ERT CXEL DRESAC, ROCA MZE GANSAKUTREBULAD ACXUNEBDA, ASFALTIC SERBILEBULIYO. AM GZAZE GAMOCNDA MZLAVRI, MUXLUXEBIANI TRAQTORI, ROMELIC WITELWYARODAN ENAMTIS TERITORIAZE MIDIODA. TRAQTORMA TITQOS JIBRIT, GZIS SUA NAWILI AIRCIA DA SOFLIS TAVIDAN BOLOMDE ASE IARA. SEWUXDNEN SOFLIS GULSEMATKIVREBI, TRAQTORISTI AIZULES SECEREBULIYO. MOUWODES, WESRIGIS DACVISKEN DA NACVLAD MOBODISEBISA, MAN GULGRILAD GANACXADA: `ES TRAQTORI SAQSOFLTEQNIKIS WITELWYAROS GANYOFILEBISAA, ME GVARAD MARTYOFLISVILI VAR, CEMI NEBIT KI AR VMOQMEDEB, SAGZURI MOMCES DA DAVALEBIS SESASRULEBLAD MIVDIVARO~. MAGRAM VIN DAIJEREBS, ROM XELMZRVANELMA TRAQTORISTS DAAVALA AXALI MOASFALTEBULI GZA GAACANAGE DA SUAZE GABOTILMA IAREO? GANA ASETI TAVNEBA TRAQTORISTI DASJIS RIRSI AR ARIS?~

◆ QALAQ WITELWYAROS AXALI SABAVSVO BARIS MSENEBLOBA NACVLAD 1 WLISA, 9 TVESI DAMTAVRDA. `SENOBA MOGVWONS, KARGAD ARIS NAGEBI, ARC WYALI CAMODIS, ARC SAREBAVI GADADIS, OTAXEBIC NATELI DA KETILMOWYOBILIA. MXOLOD EG ARIS, ES CVENI 140 ADGILIANI ORSARTULIANI BARIS SENOBA GEOGRAFIULAD VER ARIS XELSAYREL ADGILZE ASENEBULI. DREMDE 40 BAVSVIS ADGILI TAVISUFALIA DA VER SEVAVSET~. VIN GEGMAVS, SAD UNDA ASENDES OBIEQTI? AMAS MSENEBLEBS ARAVIN EKITXEBA. ISE, AM BOLO DROS AXAL MSENEBLOBEBZE QEBIT TITQMIS ARAVIN LAPARAKOBS. SACXOVREBELI AN SAZOGADOEBRIVI DAWESEBULEBA ISE VER SENDEBA, RAIME XARVEZI ROM AR HQONDES. WYALI ROM CAMODIS, YVELGAN SAREBAVEBI GADADIS, ES YVELA OBIEQTZE CVEULI MOVLENAA. TU GINDA SAZOGADOEBRIVI DA KERZO SENOBA ERTMANETISGAN GAARCIO, MASINVE WERS UNDA SEXEDO. TU WVIMA CAMOSULIA DA KEDLEBIDAN BATQASI CVIVA, AN ELEQTROENERGIA DA WYALGAYVANILOBIS SISTEMA MOSLILIA, RA TQMA UNDA, ES KERZO BINA AR IQNEBA DA SAZOGADOEBRIVI MSENEBLOBA UNDA IYOS. DRES, ROCA TEQNIKAM FANTASTIKUR GANVITAREBAS MIARWIA, GANA AR SEGVIZLIA ISE MKVIDRAD DA LAMAZAD VASENOT, ROM 10-15 WELIWADSI ARC WERI DALPES DA ARC KEDLEBI DAZIANDES? SEGVIZLIA, MAGRAM ES USULGULOBIS DA DAUDEVROBIS GAMO XDEBA. ZOGMA MSENEBEL-INJINERIS DIPLOMI SASXVATASORISOD MIIRO, MAS SUL SXVA RAM AINTERESEBDA, MAGRAM AXLOBLEBMA RARACIT INJINROBAZE DAAINTERESES. IS KI MSENEBELI GAXDA, MAGRAM MSENEBLOBIS XELOVNEBAS MAINC VER DAEUFLA.



(STILI DACULIA)

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

# მთაში მოკლული სმითები

ხადის ხეობაში მოკლული რაიან და ლორა სმითები საქართველოში წლების წინ ჩამოვიდნენ და მარნეულში დასახლდნენ. აქ ლორა ინგლისურს ასწავლიდა, რაიანს კი ხელით ნაქსოვი ხალიჩების ბიზნესი ჰქონდა. იმ სოფლებში, სადაც ორნამენტებიან ხალიჩებს ტრადიციული მეთოდით ქსოვენ, პერიოდულად ტურისტებიც დაჰყავდა, რომლებსაც უფრო ახლოს აცნობდა ქართულ და აზერბაიჯანულ ტრადიციებს.

„თავდაპირველად გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი მონაცემების მიღების შემდეგ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა. გატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული 1998 წელს დაბადებული პირი დააკავეს, რომელმაც ჯერ აღიარა ჩადენილი დანაშაული, მოგვიანებით კი – უარყო. მასთან საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 2014 წელს დაბადებული მცირეწლოვანის ცხედარი. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 4 ივლისს ხადის ხეობაში მდებარე ერთ-ერთი ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას მ.კ.-მ სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა რ.ს.-ს და მის შვილს, ხოლო ლ. ს. შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მცდელობისას ხევში გადავარდა და გარდაიცვალა. დაკავებულმა მოკლული მამაკაცი შემთხვევის ადგილას დატოვა, ხოლო მცირეწლოვნის ცხედარი ზვავში დამალა“.

ნინიკო როზბაქიძე, **რაიანის მეგობარი** ამბობს, რომ ეს საქმიანობა რაიანისთვის უბრალო ბიზნესი არ იყო და ის ამ საქმეს, როგორც სოციალურ პროექტს, ისე უყურებდა:

**„ძალიან ბევრი ასპექტი ჰქონდა ამ პროექტს. ეს იყო არა მარტო ხალიჩების ქსოვა, არამედ, ზოგადად, ტრადიციების შენარჩუნება, იმ საზოგადოებაში ქალების როლის გაძლიერება, რადგან მქსოველი ქალები საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებდნენ გაყიდული ხალიჩების სანაცვლოდ. მე ორი წლის წინ გავიცანი რაიანი სწორედ ამ პროექტის საშუალებით. რაიანი აწყობდა ექსკურსიებს და ჩემს ოჯახთან ერთად ვიყავი წასული იორმუღანლოში. ეს ექსკურსიები ამ პროექტის ცალკე ნაწილი იყო. ის ერთმანეთს აცნობდა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ და იორმუღანლოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ოჯახებს, აკავშირებდა მათ ერთმანეთთან და ეს ურთიერთობები შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდებოდა. რაიანს ძალიან უყვარდა საქართველოც და მთლიანად კავკასია. იცნობდა მის ტრადიციებს, ბუნებას, გარემოს. უყვარდა მოგზაურობა და ხშირადაც მოგზაურობდა მეგობრებსა და ოჯახთან ერთად. ის ვერანაირად ვერ იქნებოდა კონფლიქტის ინიციატორი. იყო ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი“.**

კამილა მამედოვა, – **მარნეულის სათემო რადიოს ხელმძღვანელი**, რადიო თავისუფლებასთან საუბრისას იხსენებს, რომ მარნეულელებს რაიანთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ამ ურთიერთობას ხელს უწყობდა ისიც, რომ რაიანი კარგად ფლობდა აზერბაიჯანულ ენას, ესმოდა ქართულიც. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კი რაიანი განსაკუთრებით აქტიურობდა იმისათვის, რომ მარნეულში მოეწყო უფასო საბავშვო ატრაქციონები:

„სულ ამბობდა ხოლმე, რომ ჩემი შვილი გასართობად ან ბოლნისში დამყავს და ან თბილისშიო და ვფიქრობო, რომ ჩემი შვილისა და სხვა ბავშვებისთვის მარნეულში უნდა იყოს ატრაქციონიო. მარნეულის მერია მის წერილებს არ პასუხობდა, თუმცა ამ ბოლო დღეებში თითქმის შედგა შეთანხმება, მშობელთა შეკრება გავაკეთეთ. უნდა შეგვერჩია პარკის ადგილმდებარეობა“...

გარდაცვლილთა ცხედრებს უტარდება შესაბამისი ექსპერტიზა, ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის გასარკვევად კი ჩატარდება ფსიქიატრიული ექსპერტიზა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საშუალო სკოლია 1979 წლის Xბ კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის
მარინა გოგილაშვილ-ნატროშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ნინო ოქროპირიძე, ზურა, ბაბუცი, რუსუდან და მარიამ ჯორკოშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გოჩა გოგილაშვილის და გია ნატროშვილის ოჯახებს
მარინა გოგილაშვილის
გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და მაია ტოკლიკიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქეთინო და ნანა შიუკაშვილების ოჯახებს დედის
მზია შიუკაშვილის
გარდაცვალების გამო.

მედეა კვაცხელია ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ეკა გიორგანაშვილის დის
ანა გიორგანაშვილის
გარდაცვალების გამო.

კერძო კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს დის
ანა გიორგანაშვილის
გარდაცვალების გამო.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს დის
ანა გიორგანაშვილის
გარდაცვალების გამო.

ანზორი, ზაური, თენგიზი და ილია მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ ქადაგიძეს დედის, ნათია და ლევან ქადაგიძეებს ბებიის
დარეჯან ქადაგიძის
გარდაცვალების გამო.

# ჰოვარდ გარდნერის მრავალგვარი ინტელექტის თეორია

**ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია, ასევე ძნელია, გაზომო ინტელექტის დონე რაიმე კონკრეტული მახასიათებლის მეშვეობით. საუკუნეების მანძილზე ბევრი მეცნიერი ცდილობდა ამოეხსნა, რამდენი სახის ნიჭი არსებობს და როგორ შეიძლება ე.წ. დამალული ნიჭის აღმოჩენა, ასევე, როგორ უნდა განისაზღვროს, ბავშვის უნარების გათვალისწინებით, მისი მომავალი პროფესიის არჩევანი? წარმოგიდგენთ ერთ-ერთ თეორიას, რომლის მიზანიცაა ინტელექტის ტიპების განსაზღვრა და დახმარება პედაგოგებისთვისა და მშობლებისთვის, დაფარული ნიჭიერების აღმოსაჩენად და განსავითარებლად. სტატია მოამზადა თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ერეკლე ჩერქეზიშვილმა.**

ტვინიკოსი, ფილოსოფოსა, ჭკუის კოლოფი, ალბათ, ადრეც გსმენიათი მსგავსი ტერმინები, შესაძლოა, ვინმეს თქვენთვისაც დაუძახია ან ეხლაც გეძახით, მაგრამ რეალურად ინტელექტის განმარტება იმაზე საკმაოდ საფრთხილო და საყურადღებო საქმეა, ვიდრე უბრალოდ ახალი სახელების მოფიქრება, რომელსაც ჭკვიან ადამიანებს ვუწოდებთ. ინტელექტი ხომ არაა სიმაღლე ან წონა, რომელსაც გავზომავთ და ზუსტ, უტყუარ მაჩვენებელს მივიღებთ. იგი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყო განსხვავებულ კულტურებსა და საუკუნეებში. ასე რომ, **რა არის ინტელექტი?** ერთი ზოგადი უნარი თუ მრავალი უნარებისა და ტალანტების ნაკრები? თანდაყოლილი და ბიოლოგიურად განპირობებულია თუ სოციო-კულტურულ ფაქტორებსა და დასწავლას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს? როგორ შეგვიძლია გავზომოთ ინტელექტი და რამდენად სანდო და ვალიდური იქნება შედგები? როგორც ვხედავთ, ინტელექტის კონცეფცია საკმაოდ საკამათო და



სადავოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ თემაზე უამრავი განსხვავებული თეორია არსებობს თავისი დამაჯერებელი, ან, არც თუ ისე დამაჯერებელი ემპირიული მტკიცებულებებით. თემის მრავლისმომცველობის გამო, ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ, ჰოვარდ გარდნერის მრავალგვარი ინტელექტის თეორიაზე, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს განათლების ფსიქოლოგიაში.

ჰოვარდ გარდნერი ინტელექტის ფართო განმარტებას გვაძლევს, რომელიც მოიცავს პრობლემის გადაჭრის უნარებსა და ერთი ან მრავალი კულტურისათვის ღირებული პროდუქტის შექმნას. იგი გამოყოფს რვა სახის ინტელექტს, თუმცა აქვე ამატებს, რომ ეს ციფრი უნივერსალური არაა და შესაძლოა, სხვა ინტელექტის სახეებიც დაემატოს.

ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი – ადამიანები, რომლებიც ძლიერები არიან ამ ტიპის ინტელექტში, კარგი ვიზუალიზაციის უნარი აქვთ. კარგად გამოსდის მიმართულებების გარჩევა სივრცეში, ასევე მარტივად ერკვევიან რუკაში, უკეთ გამოსდით ნავიგაცია, ვიდრე სხვებს.ასევე გააჩნიათ გარე ფიზიკური, სივრცითი სამყაროს შედარებით სწორად წარმოსახვისა და აღქმის ტრანსფორმაციის მოქნილი უნარი. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: არქიტექტორი, მეზღვაური, მხატვარი, ინჟინერი, ფოტოგრაფი.

ლინგვისტური ინტელექტი – ამ ტიპის მაღალი ინტელექტის მქონე ინდივიდებს აქვთ უნარი სხვებთან შედარებით უკეთესად გამოიყენონ სიტყვები, როგორც წერის, ასევე ლაპარაკის დროს. როგორც წესი, ისინი ენის სხვადასხვა ფუნქციისადმი საკმაოდ მგრძნობიარეები არიან და კარგად გამოსდით ისტორიების წერა, ინფორმაციის დამახსოვრება და კითხვა. ასევე შეუძლიათ რაღაც საკითხების კარგად ახსნა და დამარწმუნებელი სიტყვით გამოსვლა. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: მწერალი, ჟურნალისტი, ადვოკატი, მასწავლებელი.

ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი – ამ ინდივიდებს, რომლებიც ძლიერები არიან ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტის მხრივ, კარგად გამოსდით მსჯელობა, რთული გამოთვლების შესრულება, პრობლემის ლოგიკური ანალიზი და შემდეგ მათი გადაჭრა. მიდრეკილნი არიან კონცეფტუალურად იფიქრონ რიცხვებზე, ურთიერთობებსა და პატერნებზე. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: მეცნიერი,მათემატიკოსი, კომპიუტერის პროგრამისტი, ინჟინერი, ბუღალტერი.

სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტი – მათ, ვისაც მაღალი სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტი აქვს, აქვთ ძალიან კარგი მოძრაობების კონტროლის უნარი და საგნების მართვის ხელოვნებაში გაწაფულები არიან. როგორც წესი, შესანიშნავი სხეულის კოორდინაციით გამოირჩევიან და ადვილად სწავლობენ უფრო კეთებით, ვიდრე ყურებით ან მოსმენით. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: მსახიობი, მოცეკვავე, ათლეტი.

მუსიკალური ინტელექტი – თუ ადამიანი მუსიკალური ინტელექტით გამოირჩევა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს მუსიკალური რიტმის, ტონის, ტემბრის შექმნისა და შეფასების უნარი. მარტივად ამჩნევენ მუსიკალურ პატერნებსა და ტონებს, ადვილად იმახსოვრებენ მელოდიასა და სიმღერას და აქვთ უნარი, სიღრმისეულად გაიგონ მუსიკის სტრუქტურა.შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: კომპოზიტორი, მუსიკოსი, მომღერალი, მუსიკის მასწავლებელი.

ინტერპერსონალური ინტელექტი – მაღალი ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე ადამიანებს კარგად ესმით და ურთიერთობენ სხვა ადამიანებთან. ისინი არიან დახელოვნებულები მათ გარშემო არსებული ადამიანების ემოციების, რწმენის, ტემპერამენტისა და მისწრაფებების შეფასებაში. შეუძლიათ დაინახონ სიტუაცია სხვების პერსპექტივიდან, ქმნიან პოზიტიურ ურთიერთობებს, ვერბალური კომუნიკაცია კარგად გამოსდით და ასევე, ჯგუფში წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარებაც არ უჭირთ.შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, კონსულტანტი, ვაჭარი.

ინტრაპერსონალური ინტელექტი – ამ მიმართლებით ძლიერ ინდივიდებს აქვთ საკუთარი ემოციებისა და მოტივაციების გაგების, მართვის უნარი. მათ სიამოვნებთ თვითრეფლექსია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვადასხვა თეორიებისა და იდეების ანალიზი. იციან თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები, რა საკითხებს უდგებიან სტერეოტიპულად და რას – არა. ერთი სიტყვით, თვითცნობიერება მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: ფილოსოფოსი, მწერალი, თეორიტიკოსი, მეცნიერი.



ნატურალისტური ინტელექტი – ადამიანებს მაღალი ნატურალისტური ინტელექტით ახასიათებთ ახლო კავშირი ბუნებასთან, ამჩნევენ მცირე ცვლილებასაც კი გარემოში. მიდრეკილნი არიან გარემოსა და სხვა სახეობების სწავლისაკენ. შესაძლოა, სიამოვნებდეთ ლაშქრობა, მებაღეობა, მოგზაურობა. აქვთ კარგი უნარი გარემოს სტრუქტურირებისა და კატეგორიზაციის. შესაფერისი პოტენციური კარიერული მიმართულება იქნებოდა: ბოტანიკოსი, ბიოლოგი, მონადირე, კონსერვაციონისტი, ფერმერი.

მიუხედავად იმისა, რომ გარდნერის თეორიამ აკადემიურ სფეროში დიდი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და გააკრიტიკეს კიდეც, ამ ინტელექტის მოდელის უპირატესობა ისაა,რომ იგი აფართოვებს მასწავლებლის აზროვნებას სწავლების უნარ-ჩვევებისა და გზების მიმართ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ავტორის მიხედვით, ჩვენი სკოლები (დასავლური) მეტწილად კონცენტრირებულია და დიდ ყურადღებას აქცევს ლინგვისტურ და ლოგიკურ-მათემატიკურ ინტელექტს, მაშინ, როდესაც სხვა ინტელექტის ფორმები უყურადღებოდ რჩება, თუმცა, ისინიც არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჩვენ ასევე თანაბარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ორისგან განსხვავებული ინტელექტით არიან დაჯილდოებულნი, მაგალითად: არტისტებს, თერაპევტებს, მოცეკვავეებს, დიზაინერებს, მუსიკოსებს, ნატურალისტებს და სხვა. სამწუხაროდ, ბავშვები, რომლებიც მსგავსი უნარებით არიან დაჯილდოებულნი, ხშირად უარყოფით ან არასაკმარის განმტკიცებას იღებენ სკოლებში და, საბოლოო ჯამში, შეიძლება მასწავლებლებმა და სხვა პირებმა მათ მიაწებონ უუნაროს, უყურადღებოს, დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ბავშვის იარლიყი, რაც, გარდნერის მიხედვით, მცდარია, რადგან თითოეულ მათგანს ერთი წამყვანი, ძირითადი ინტელექტის ფორმა აქვს განვითარებული, დანარჩენი – ნაკლებად, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ბავშვი მათემატიკურ ან ლინგვისტურ ინტელექტში ჩამორჩება, იგი სხვა ტიპის ან ტიპების ინტელექტში არის ძლიერი, სკოლამ კი მათ განვითარებაზეც უნდა იზრუნოს, თუნდაც დასასწავლი მასალის გასხვავებული და მრავალფეროვანი მიწოდებით.

დაბოლოს, ხშირად გარდნერის თეორიის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება ხოლმე. ავტორი არ ამბობს, რომ ბავშვებს არ ვასწავლოთ მათემატიკა ან სხვა საგანი, უბრალოდ, არ დავაიგნოროთ სხვა უნარები და დავეხმაროთ ბავშვებს მის განვითარებაში. ვიყოთ შემწყნარებლები მოსწავლეების მიმართ და მოვერიდოთ იარლიყების მიწებებას.


## ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა N9-ში (დომბიტამდე), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც). მსურველები დაგვიკავშირდით:
599 85 58 32

## იყიდება!

სამოთახიანი ბინა სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა. მისამართი: რუსთაველის ქ. №4, კორპუსი 31, ბინა 9.
555 23 26 80
ფასი შეთანხმებით.

## ყურადღება!

ინდმეწარმე გიორგი კიკილაშვილი გაცნობებთ, რომ დედოფლისწყაროში ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. მისტერ-მასტერის ცენტრმა. მოსახლეობას შეუძლია მოგვმართოს დასახმარებლად ისეთი სპეციალისტების გამოსაძახებლად, როგორიცაა: **სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, კაფელის სპეციალისტი, შეკიდული ჭერის სპეციალისტი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის ტექნიკოსი და სხვა.** ცენტრის სპეციალისტები შეასრულებენ როგორც კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, ასევე მოახდენენ დაზიანებულის გამოცვლა-აღდგენას. მაგ. დაზიანებული სანკვანძის აღდგენა, დაზიანებული ელექტროგაყვანილობის გამოცვლა-აღდგენა, დაზიანებული კაფელ-მეტლახის შეცვლა და სხვა.

მოსახლეობიდან შეკვეთის მიღება ხდება სატელეფონო კავშირით. შეკვეთის შესრულება ხორციელდება დროულად და ხარისხიანად.
**ცენტრის ტელეფონებია: 593 756930, 579 193411**


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 16.07 | | სამშაბათი 17.07 | | ოთხშაბათი 18.07 | | ხუთშაბათი 19.07 | | პარასკევი 20.07 | | შაბათი 21.07 | | კვირა 22.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 25 ° | 20 ° | 22 ° | 20 ° | 24 ° | 23 ° | 26 ° | 25 ° | 29 ° | 28 ° | 28 ° | 27 ° | 30 ° | 28 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.